

**I. ფაკულტეტის სასახელება:** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

**II. პროგრამის დასახელება:** ინფორმაციული ტექნოლოგიები

**III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი

**V. სწავლების ენა:** ქართული

**VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია:** ინფორმაციული ტექნოლოგიების

ბაკალავრი/Bachelor of Information Technologies

**VII. პროგრამის მოცულობა:** პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი - 8 ოცკვირიანი სემესტრი (თითოეულ სემესტრში: 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 2 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 3 კვირა - დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი). მათ შორის, 130 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები, 10 კრედიტი თავისუფალი არჩევითი კომპონენტები, 10 კრედიტი - საბაკალავრო პროექტი, 30 კრედიტი თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები, 60 კრედიტი დამატებით პროგრამა.

60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ერთი დამატებითი პროგრამა უნივერსიტეტში არსებული დამატებითი პროგრამებიდან, ასევე სასწავლო კურსი, მოდული ან სასწავლო კურსების ბლოკი უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი პროგრამებიდან, რაც დაეხმარება მას დასაქმებისათვის ან/და სწავლის გაგრძელებისათვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე 60 კრედიტის ფარგლებში შეიძლება უღიარდეს მობილობამდე სხვა პროგრამაზე/პროგრამებზე გავლილი სასწავლო კურსები.

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათს - სულ 6000 საათს. აქედან 2543 საკონტაქტოა (720 –სალექციო, 1635–სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობები, 188 - შუალედური, დასკვნითი გამოცდების, 250 სთ - საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის (30 სთ საკონტაქტო, 216 დამოუკიდებელი საათის 4 - პრეზენტაცია/დაცვა)), რაც შეადგენს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის 42%, ხოლო 3457 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ სამუშაო დროს (58%).

### **VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე აბიტურიენტებს, რომლებსაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47<sup>3</sup> და 52-ე მუხლის 1<sup>2</sup> პუნქტის თანახმად, ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ მხოლოდ ერთ-ერთი შემდეგი ტესტი: ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტი; ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტი, ოსური ენის ტესტი და აფხაზური ენის ტესტი და გაივლის ქართული ენის 60 კრედიან პროგრამას. პროგრამებზე უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა

ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რადგან სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ ქართული ენის B2 დამადასტურებელ სერტიფიკატს ან ჩააბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში—უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე, უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

**IX. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი:** სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში **ლელა წითაშვილი** - [lelatsitashvili@sjuni.edu.ge](mailto:lelatsitashvili@sjuni.edu.ge) 595 93 91 86, 599 44 00 53, სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი **ლერი ნოზაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა – [lerinozadze@yahoo.com](mailto:lerinozadze@yahoo.com); ტელ.: 555 94 20 52, 595 855 017).

**X. პროგრამის აკრედიტაციის თარიღი: აკრედიტებული - 11.09.2020 წ. №820912**

**XI. პროგრამის მიზანი:**

1. მისცეს სტუდენტებს მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი ცოდნა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. მოამზადოს სპეციალისტები შემდეგ მიმართულებებით: დაპროგრამება, მონაცემთა ბაზების დაპროექტება, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ორგანიზაცია, ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება, გლობალურ ქსელებში ინფორმაციული რესურსებით სარგებლობა და სხვა;
3. უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური სფეროების შესწავლის და გამოყენების საფუძველზე წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.

**XII. სწავლის შედეგი:**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური დებულებების, თეორიების, კონცეფციების, პრინციპების, მონაცემთა ცნობილი სტრუქტურების, საინფორმაციო სისტემების, მათემატიკური აპარატის, თანამედროვე დაპროგრამების ენების, ვებ-გვერდის, მონაცემთა ბაზების, ქსელების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების ცოდნა;</li> <li>2. ექნება პროფესიული ტერმინოლოგიის ფართო ცოდნა აკადემიური პრინციპების დაცვით კომუნიკაციისათვის ქართულ და უცხო ენაზე.</li> </ol>
<b>უნარი</b>	<ol style="list-style-type: none"> <li>3. შეძლებს ალგორითმების საფუძველზე დაპროგრამების ამოცანების რეალიზაციას; მონაცემთა ბაზების შექმნას და ადმინისტრირებას, ვებ-გვერდის შექმნას და მართვას, მათემატიკურ მოდელირებასა და სიმულაციური ამოცანების ამოხსნას;</li> <li>4. მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავეს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის;</li> <li>5. გამოიყენებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო) ეფექტური მართვისათვის. ოპერაციული სისტემების სრულყოფილად ათვისების საფუძველზე უზრუნველყოფს პროგრამული საშუალებების და კომპიუტერული ქსელების ეფექტურ და უსაფრთხო ექსპლუატაციას;</li> <li>6. დაამუშავეს რეკომენდაციებს ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა დარგში,</li> </ol>

	<p>დანერგავს გამოყენებით პროგრამებს, გადაწყვეტილების მხარდამჭერ და ინფორმაციულ სისტემებს პრაქტიკულ მოღვაწეობაში;</p> <p>7. ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან მოიძიებს პროფესიულ ინფორმაციას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, შეაფასებს კრიტიკულად და დამუშავებს; ჩამოაყალიბებს დასკვნებს ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით (როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პატივის სცემს/დააფასებს პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულებას; დაიცავს პროფესიული ეთიკას.</p>
<b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b>	<p>8. ექნება სწრაფვა ინოვაციებისაკენ, დამოუკიდებლად შექმნის და შეძლებს პროგრამული პროდუქტების: პროგრამული კოდები და აპლიკაციები, მონაცემთა ბაზები, ვებგვერდები და საიტები, ქსელური ტექნოლოგიები და სხვა ადმინისტრირებას, გამოიჩენს დიდ პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში, დაადგენს საკუთარი სწავლის შემდგომ საჭიროებებს.</p>

	სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები				სამიზნე ნიშნულები/სტუდენტთა რაოდენობა საერთო რაოდენობის წილთან მიმართებით
	პირდაპირი		არაპირდაპირი		
	მეთოდი	დრო	მეთოდი	დრო	
1. ექნება ინფორმაციული ტექნოლოგიების დებულებების, კონცეფციების, მონაცემთა სტრუქტურების, სისტემების, აპარატის, დაპროგრამების უზრუნველყოფის წესების ცოდნა;	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოვითხვა, კურსდამთავრებულთა გამოვითხვა.	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-10% B-25% C-30% D-24% E-10% F – 1 %. Fx -1%
4. მათემატიკის თეორიული ცოდნის, შექნილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტისათვის.	კრებსითი გამოცდა	მე-3 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოვითხვა კურსდამთავრებულთა გამოვითხვა.	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8% F – 1 %. Fx -1%
5. გამოიყენებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო) ეფექტური მართვისათვის ოპერაციული სისტემების სრულყოფილად ათვისების საფუძველზე უზრუნველყოფს პროგრამული საშუალებების და	კრებსითი გამოცდა	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოვითხვა კურსდამთავრებულთა გამოვითხვა.	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	A-5% B-18% C-35% D-32% E-8% F – 1 %. Fx -1%

კომპიუტერული ეფექტური ექსპლუატაციის ქსელების და უსაფრთხო					
6. დაამუშავეს რეკომენდაციებს ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა დარგებში, დანერგავს გამოყენებით პროგრამებს, გეოსაინფორმაციო სისტემებს, გადაწყვეტილების მხარდამჭერ და ინფორმაციულ სისტემებს პრაქტიკულ მოღვაწეობაში.	კრებსითი გამოცდა	მე-6 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოკითხვა კურსდამთავრებულთა გამოკითხვა.	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	<b>A-5%</b> <b>B-18%</b> <b>C-35%</b> <b>D-32%</b> <b>E-8%</b> <b>F – 1 %</b> <b>Fx -1%</b>
7. მოიძიებს ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან პროფესიულ ინფორმაციის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, შეფასებს კრიტიკულად და დამუშავეს; ჩამოაყალიბებს დასკვნებს ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით (როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პატივისცემს/დააფასებს პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულებას; დაცავს პროფესიული ეთიკას.	კრებსითი გამოცდა/საბაკალავრო ნაშრომი	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოკითხვა დაკვირვება (პროგრამის ხელმძღვანელის)	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	<b>A-5%</b> <b>B-18%</b> <b>C-35%</b> <b>D-32%</b> <b>E-8%</b> <b>F – 1 %</b> <b>Fx -1%</b>
8. ექნება სწრაფვა ინოვაციებისაკენ, დამოუკიდებლად შექმნის და შეძლებს პროგრამული პროდუქტების: პროგრამული კოდები და აპლიკაციები, მონაცემთა ბაზები, ვებგვერდები და საიტები, ქსელური ტექნოლოგიები და სხვ. ადმინისტრირებას, გამოიჩენს დიდ პასუხისმგებლობას პროფესიულ საქმიანობაში, დაადგენს საკუთარი სწავლის შემდგომ საჭიროებებს.	კრებსითი გამოცდა/საბაკალავრო ნაშრომი	მე-8 სემესტრის ბოლოს	დამსაქმებლებს გამოკითხვა დაკვირვება (პროგრამის ხელმძღვანელის)	პროგრამის დასრულები ს შემდგომ მუშაობის დაწყების პირველ წელს	<b>A-5%</b> <b>B-18%</b> <b>C-35%</b> <b>D-32%</b> <b>E-8%</b> <b>F – 1 %</b> <b>Fx -1%</b>

### XVI. დასაქმების სფერო:

პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:

- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სასწავლო დაწესებულებებში, საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებში, რომლებიც საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ (კომპიუტერული ცენტრები, ბანკები, კერძო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, სავაჭრო და საფინანსო ორგანოები და სხვ.);

## სტუდენტის შეფასება

- სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3) და უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- სტუდენტთა შეფასება ხორციელდება შემდეგი წესით:
  - ა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი ან სხვ.) შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
  - ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
  - გ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია 51%.
- შეფასების სისტემით დასაშვებია
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
    - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
    - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
    - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
    - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- სასწავლო კომპონენტში უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში (საბაკალავრო ნაშრომის განმეორებით მომზადება იმავე ან მომდევნო სემესტრში). დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
  - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
  - დასკვნითი შეფასება.
- სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.
- საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრების ჯამი უნდა შეადგენდეს 51 ქულას.

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი/ზღვრები დაძლეული აქვს. შესაძლებელია შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის მისაღწევად დასკვნით გამოცდამდე სტუდენტმა განმეორებით ჩააბაროს სილაბუსით გათვალისწინებული შუალედური კომპონენტები. დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50%, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ხოლო, თუ სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე სილაბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარზე ნაკლებ შეფასებას მიიღებს და სტუდენტს შუალედური შეფასებითურთ ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, საბოლოო შეფასებად უფორმდება F-0. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50% მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 შეფასება და სტუდენტი კურსს გაივლის განმეორებით.
- შუალედური და დასკვნითი გამოცდები საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საგნის) თავისებურების გათვალისწინებით, ტარდება წერილობით, ზეპირად, ელექტრონულად ან შერეული სახით.
- სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.
- სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.
- დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები (მაქსიმუმ ოთხი).
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევის შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.